



სასწავლო პროგრამა ტუბერკულოზის ადრეულ გამოვლენასა და მართვაში

ზოგადი პრაქტიკის ექთნებისათვის

ზოგადი პრაქტიკის ექთნის როლი

- ზოგადი პრაქტიკის ექთანს უნდა შეეძლოს პირველადი ჯანდაცვის დონეზე შეაფასოს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მართოს პაციენტი ტუბერკულოზთან დაკავშირებული პრობლემებით.
- გამოხატავს რა მის მიმართ ემპათიას და თანაგრძნობას, ის ცდილობს მიაღწიოს მართვის პროცესში პაციენტის თანამონაწილეობას და მასთან შეათანხმოს მართვის გეგმა.
- აცნობიერებს რა საკუთარი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებს, ზოგადსაექიმო პრაქტიკის ექთანი განსაზღვრავს პაციენტის ექიმთან მიმართვის აუცილებლობას.
- ზოგადსაექიმო პრაქტიკის ექთნის მოქმედება კოორდინირებულია პირველადი ჯანდაცვის გუნდის სხვა წევრების საქმიანობასთან.

პროგრამის მიზანი:

ზოგადი პრაქტიკის ექთნების მიერ პირველადი ჯანდაცვის დონეზე ტუბერკულოზის ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესება.

პროგრამის ამოცანები:

- ექთნის მიერ ტუბერკულოზის გამოცნობისა და მართვისთვის აუცილებელი ბაზისური ინფორმაციის განახლება კლინიკური თეორიისა და პრაქტიკის შესაფერის სფეროებში;
- პირველად ჯანდაცვის ქსელში ტუბერკულოზის დროული გამოვლენისა და ამბულატორიულ რეჟიმში ყველა ფორმის ტუბერკულოზის უშუალო მეთვალყურეობით ხარისხიანი მკურნალობისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. ეს ასევე ითვალისწინებს პაციენტთან კომუნიკაციის ჩვევების



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**TUBERCULOSIS
PREVENTION
PROJECT**

გაუმჯობესებას პაციენტთა შეფასების, მონაცემთა რეგისტრაციის და ინფორმაციის გამოყენების პროცესებში;

მოსალოდნელი შედეგები:

პროფესიული სწავლების პროგრამის დასრულების შემდეგ ზოგადი პრაქტიკის ექთანი:

მსმენელი

(ა) გაიდრმაგებს თეორიულ ცოდნას:

1. ზოგად საექიმო პრაქტიკაში ტუბერკულოზის პრევენციის მნიშვნელობაზე;
2. ზოგად საექიმო პრაქტიკაში ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენის და ამბულატორიულ რეჟიმში სრულყოფილი მართვის შესახებ.

(ბ) შესძლებს

1. პირველად ჯანდაცვის ქსელში სამედიცინო დახმარებისათვის მისულ პაციენტებს შორის ტუბერკულოზზე საექმო ნიშნების და რისკ-ჯგუფების მიხედვით ამოიცნოს ტუბერკულოზზე საექმო შემთხვევები;
2. უზრუნველყოს ტუბერკულოზის საექმო შემთხვევებში პაციენტის კონსულტირება ფტიზიატრთან დროული მიმართვისა და საჭირო გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობის თაობაზე.
3. უზრუნველყოს ტუბერკულოზის ყველა ფორმით დაავადებული პაციენტების უშუალო მეთვალყურეობით მკურნალობა და ხელი შეუწყოს მკურნალობაზე დამყოლობა ამბულატორიულ რეჟიმში მკურნალობის სრული კურსის განმავლობაში;
4. მონიტორინგით გათვალისწინებული კვლევებისათვის მიმართოს პაციენტი შესაბამის ქსელში;
5. ამოიცნოს ანტიტუბერკულოზური მკურნალობის გვერდითი მოვლენები და შესაფერის შემთხვევებში უზრუნველყოს ოჯახის ექიმთან პაციენტის დროული მიმართვა;

6. თავად დაიცვას და უზრუნველყოს პაციენტის მიერ ინფექციის კონტროლით გათვალისწინებული ნორმების დაცვა;

7. აწარმოოს ტუბერკულოზის რეგისტრაცია-ანგარიშგების შესაბამისი ფორმები;

(გ) შეიცვლება მსმენელების დამოკიდებულება პირველად ჯანდაცვის ქსელში ტუბერკულოზის დროული გამოვლენის და ამბულატორიულ რეჟიმში მისი ხარისხიანი მართვის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

განსახილველი საკითხები:

- ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგია და ტუბერკულოზის პრევენციის თანამედროვე მიდგომები
- ტუბერკულოზზე საექვო შემთხვევის ამოცნობა;
- ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისთვის რეკომენდებული გამოკვლევები;
- ამბულატორიულ რეჟიმში რეგულარული და რეზისტენტული ტუბერკულოზის უშუალო მეთვალყურეობით მკურნალობის პრინციპები და ექთნის როლი ამ პროცესში;
- ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატებით გამოწვეული გვერდითი მოვლენების გამოცნობა;
- ინფექციის კონტროლით გათვალისწინებული ნორმების დაცვა;
- ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების განსწავლა და მკურნალობაზე დამყოლობის უზრუნველყოფა;
- ტუბერკულოზის შემთხვევების რეგისტრაცია-ანგარიშგება.

სასწავლო კურსის ხანგრძლივობა: 16 აკადემიური საათი



დრო	თემის დასახელება	ტრენერი
პირველი დღე		
10.00 – 10.15	ტრენინგის გახსნა, მონაწილეთა წარმოდგენა	ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის წარმომადგენელი
10.15 – 10.45	პრე-ტესტი	მ. ჯანჯღავა
10.45 – 11.30	ტუბერკულოზი-საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის განსაკუთრებული პრობლემა (ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგია STOP-TB სტრატეგია)	მ. ჯანჯღავა
11.30 – 12.15	ყავის შესვენება	
12.15 – 13.15	ტუბერკულოზის შემთხვევათა კლასიფიკაცია და დეფინიციები [მ.შ. ექსტრაპულმონური ტუბერკულოზი]	მ. ჯანჯღავა
13.15-14.00	შესვენება (ლანჩი)	
14.00-15.30	ექვი ტუბერკულოზზე (მ.შ. ექსტრაპულმონური ტბ) და საექვო შემთხვევების მართვა პირველად ჯანდაცვაში მ.შ. ბავშვებში	ლ. ვაშაკიძე
15.30 – 15.45	ყავის შესვენება	ლ. ვაშაკიძე
15.45-16.30	უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობის პრინციპები და ანტიტუბერკულოზური მკურნალობაზე დამყოლობა	ლ. ვაშაკიძე
16.30-17.00	ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების გვერდითი მოვლენები და მართვა პირველადი ჯანდაცვის ფარგლებში-ექთნის როლი	ლ. ვაშაკიძე
17.00 – 17.15	დღის შეჯამება	ტრენერები
მეორე დღე		
10.00-11.00	პირველადი ჯანდაცვის გუნდის როლი ტუბერკულოზის მართვაში	ექთანი ტრენერი
11.00-11.30	საექთნო ანამნეზი ფილტვის აქტიური ტუბერკულოზის ამოსაცნობად	ექთანი ტრენერი
11.30-11.45	ყავის შესვენება	
11.45-13.10	საექთნო ანამნეზი ფილტვის აქტიური ტუბერკულოზის ამოსაცნობად	ექთანი ტრენერი
13.15-14.00	ლანჩი	
14.00-15.30	როგორ დავებმართო პაციენტს დაიცვას მკურნალობის რეჟიმი-კონსულტირება დამყოლობის გაუმჯობესებისთვის (როლური თამაში-სცენარი C და D) სავარჯიშო A და B	ექთანი ტრენერი
15.30-15.45	ყავის შესვენება	
15.45-16.30	ინფექციის კონტროლის ზომები პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში	ექთანი ტრენერი
16.30-17.00	პოსტ-ტესტი	
17.00-17.30	კურსის დახურვა/სერტიფიკატების გადაცემა და მსმენელების კმაყოფილების შეფასება	ტუბერკულოზის პრევენციის პროგრამის წარმომადგენელი



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**TUBERCULOSIS
PREVENTION
PROJECT**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტუბერკულოზი და მისი კონტროლი DOTS სტრატეგიის შესაბამისად, თბილისი, 2003წ;
2. ტუბერკულოზის მკურნალობა, სახელმძღვანელო, 2009წ, ჯანმო, მეოთხე გამოცემა;
3. მედიკამენტებზე რეზისტენტული ტუბერტულოზის პროგრამული მართვის სახელმძღვანელო, 2010წ. ჯანმო
4. ტუბერკულოზი, სახელმძღვანელო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისთვის, 2003 წელი, ჯანმო (თარგმანი);
5. ტუბერკულოზი, დიპლომისშემდგომი პროფესიული განვითარების კურსი ექიმებისთვის , 2010 წელი, თარგმანი (მსოფლიოს მედიკოსთა ასოციაცია)
6. Ганс Л. Ридер (2001). Эпидемиологические основы борьбы с туберкулезом. ВОЗ, Россия.
7. WHO (2006). Global tuberculosis control – surveillance, planning, financing report. Geneva.
8. WHO (2006). The Global Plan to Stop Tuberculosis. Geneva: WHO.
9. WHO (2007). Report of the meeting of the WHO Global Task Force on XDR-TB.
10. WHO. Guidelines on Multidrug - Resistant Tuberculosis, Geneva, World Health Organization 2009 (document WHO /HTM/TB/2008).